№ 116
პარასკევი, 2 ივნისი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 116
პარასკევი, 2 ივნისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## მოლოდინები.

საზაფხულო თეატრი და ბაღი.
ხუთშაბათს, 1 ივნისს, 1900 წელს
წარმოდგენილი იქმნება

### ნესჩასნე კოხანია

დრამა 5 მოქ. სიმღერითა და ცეკვით, თხზ. ლ. ხ. მანკოსი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დიკოვისა, ოლგინისა, დონსკაია, ბოლდირიოვისა, პასტუხოვისა და სხვანი; ბ-ნნი სუხოდოლსკი, მარჩენკო, საბინინი, მირსკი და სხვანი.

დირიჟორი თ. პ. პასტუხოვი.

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

**ანონსი**: შემდეგი წარმოდგენა შაბათს, 3 ივნისს, არტისტ-ქალის მ. დ. დიკოვის საბენეფისოდ. წარმოდგენილი იქმნება ახლად ნებადართული, ათის წლის აღკრძალვის შემდეგ, ცნობილი პიესა

### გლიტოი, აბო—ქ პივუკი

დრამა 4 მოქმ. და 5 სურ. სიმღერებითა და ცეკვით, თხზ. მ. ლ. კროპივნიცკისა.

დირექტრისა ა. ა. ორლიკი.

რეჟისორი ა. ა. სუხოდოლსკი

**უმორჩილესად** ვთხოვ ყველას, ვისაც გაეგზავნა წერილები, გამოგზავნონ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში".

(2—122—1) ლადო აღნიაშვილი

### ვთხოვთ,

ვინც იცოდეს მღოხნავთა გუნდის ერთი განყოფილების,—„სიგო"-ს, სახელი და აგრეთვე „პიშჩევოდ", „ლუჩევაია კოსტ", გამოგზავნონ „ივერიის" რედაქციაში.

(5—122—1) ლადო აღნიაშვილი

რადგანაც 28 მაისს დანიშნული წლიური საერთო კრება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" წევრთა არ შესდგა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ, საზოგადოების მე-15 §-ის თანახმად, კრება ხელმეორედ დანიშნულია 4 ივნისისათვის, დილის 11 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო დარბაზში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1899 წლისა.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1900 წლისათვის.

4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (3—უ.—3)

### ქალაქ ტფილისის პირველ სასოლიონაწილში,

სასულიერო უწყების შენობის ზემოდ, მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის აგებულ ახალ შენობის მახლობლად, დაუფილ იქმნა **ნაჭრეებად მიწა**; ნაჭრებს შუა ქუჩებისათვის სწორე ადგილია დატოვებული, სიგანით 6 საჟენი. ეს ადგილი საცხოვრებლად საუკეთესოა: ჰავა მშვენიერია და მრავალი წყაროც არის; ამას გარდა მოიპოვება ყოველგვარი მასალა შენობების აგებისათვის საჭირო: ქვიშა, ქვა, აგური და საშენებელი თიხა. დასახელებულ ადგილის გვერდზედ სომხთა ეკკლესიაა, ხოლო შუა ადგილას აგებულ იქმნება მართლ-მადიდებელთა ეკკლესიაც. თითო ნაჭერი მიწისა შეიცავს 120-დგან 150 საჟენამდე. იყიდება ეს ნაჭრები შეღავათით და ფულის ნაწილ-ნაწილ გასტუმრებით. პირობების გაგება შეიძლება მამულის პატრონთან, კ. ი. სვიმონოვისასთან: ვერა, კირპიჩნის ქუჩის მარჯვნივ, კირპიჩნის ვიწრო ქუჩა, სახლი № 16. (3—6.—1)

### ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით— 11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12 —1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. გეგთაგეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

გუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგანიშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

კვირას, 4 ივნისს,
კომიტეტი ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტის დამხმარებელ საზოგადოებისა
გამართავს მუშტაიდში

### სახალხო სეირნობას გაზრითურთ.

დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზედ.

ბაღში შესვლა 20 კაპ. ეღირება.

თუ ცუდი ამინდი იქმნება, სეირნობა შემდეგ კვირისთვის გადაიდება.

### პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12** საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი. 9—10** საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შპაკოვსკი. 12—1 ს.** ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი 1—$1^1/_2$** საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7** საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8** საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი—11—1 ს.** გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმების დანიშნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ფელეტონი

### გულ-ახდილი მუსაიფი ზოგიერთ საჭირ-ბოროტო საქმის გამო

(ჩვენის ახალგაზრდობის საყურადღებოდ)

(შემდეგი *)

ქიზიყსა და საზოგადოდ ქართლ-კახეთში სხვა საზოგადო საქმეც ბევრია გასაკეთებელი; ავიღოთ თუნდა სასოფლო ბანკები. ამ მხრივაც ქიზიყმა უნდა იკისროს მაგალითის ჩვენება. გიკვირს კიდეც, რომ ქიზიყში დღემდე დაარსეს, სამაგალითო კერძო ქსენონი, მემატყლეთა და მეთამბაქოეთა საზოგადოება, რომელსაც ტფილისში საკუთარი მატყლის და თამბაქოს საწყობი ექმნება, და ერთი სასოფლო ბანკი-კი ვერ დაუარსებიათ, თუმცა ამ ადგილის დიდი მოძრაობა და ვაჭრობა ხელს შეუწყობდა ძლიერ ბანკის დაარსებას. მაგრამ ერთს ან ორ კაცს არ შეუძლიან ამდენი საქმე იკისროს. სასოფლო ბანკები ძლიერ ვრცელდება ქუთაისის გუბერნიაში, მეტადრე ქუთაისის მაზრაში. შედარებით ქიზიყის სოფლებთან მაინც-და-მაინც არაფერს არ წარმოადგენს დიდი ჯიხაიში, კუხი, პატარა ჯიხაიში, რომლებიც პატარა სოფლებია, სამის-ოთხის ვერსის მანძილზედ მდებარეობენ ერთმანეთზე, მაგრამ მაინც საკუთარი სასოფლო ბანკი აქვს თითო სოფელს. მაჩხაანში, რომ დაარსებდნენ სასოფლო ბანკს, ამ ბანკში დიდ-ძალი ფული მოიკრიფება, დიდი საქმეც დატრიალდება, კარგი იქნება, ამ საქმეს დროზედ მოჰკიდებდნენ ხელს ქიზიყის შეგნებულნი წარმომადგენელნი. ჩვენის აზრით, დეპოს საქმე უფრო კარგად წავიდოდა, სასოფლო ბანკი რომ პირველადვე დაარსებულიყო. ამ ბანკში საკმარისი ფულის ტრიალი იქმნებოდა და მაშინ დეპოსს კრედიტისათვის შორს სიარული არ დასჭირდებოდა. საქმე ეხლაც გამობრუნდება, თუ ქიზიყელები დროზედ დაარსებენ სასოფლო ბანკს. თუ ჯიხაიშისა, კუხისა და სხვა სასოფლო ბანკებში არის ფული 50,000 მან., მაჩხაანის სასოფლო ბანკში ბევრად მეტი ფული იქნება, რადგან აქ მოძრაობა და ვაჭრობა უფრო თვალსაჩინოა.

მართლაც სამწუხაროა, რომ მთელს თელავისა და სიღნაღის მაზრაში და ქართლშიაც არ მოიძებნება ერთი სასოფლო ბანკი, თუმცა, თუ მართლა სადმე საჭიროა სასოფლო ბანკი ან საზოგადოდ იაფი კრედიტი, ეს რასაკვირველია, ტფილისის გუბერნიაში. არსად არ არის მევახშეობა ისე გავრცელებული, როგორც ტფილისის გუბერნიაში. მევახშე აქ ფულის სარგებელს ფულითვე როდი იღებს. აქ სარგებელს იხდიან ქერით, პურით, ღვინით. გამსესხებლისათვის ის უფრო ხელ-საყრელია, 20% და 30% მაგივრად, 200% 300% სარგებელი მიიღოს და ეს უფრო ადვილად მოსახდენია მაშინ, როდესაც მოვალე ვალს მოსავლით ისტუმრებს. იაფი კრედიტი რომ ყოფილიყო, ხალხი მოკლებული იქნებოდა ამ ოჯახის დამქცევ სარგებლის გადასახადისაგან. ჩვენ ხშირად სომხებს ვემდურით, ეკონომიურად დაგვაუძლურეს სომხებმაო, დიდის მადის პატრონნი არიანო. დაიარეთ ქართლი, კახეთი, დააკვირდით კარგად იქაურს ცხოვრებას და დარწმუნდებით, რომ ქართველმა გაულვიძა მადა სომხებს და სხვა მოსულ ხალხს. იგი ისე უზრუნველად ეკიდებოდა და ეკიდება თავისს ქონებას, რომელიც, თუ პატრონს მოვლის უნარი ექნება, დიდის სიმდიდრის მომცემია,—რომ მოსულს მადა ეხსნება თანდათან სხვისის კუთვნილების დაპატრონებისა და ბოლოს კიდეც ჰპატრონდება. ხომ მოგეხსენებათ, რაკი ერთხელვე აეშლება ადამიანს შეძენისა და გამდიდრების საღერღელი, მერე ეს სურვილი უზომოდ იზრდება, მით უფრო, რომ ამ მუდამ დაუკმაყოფილებელის წყურვილის დამაბრკოლებელი მიზეზი არა არის-რა, ხელის შემწყობი გარემოება-კი ბევრია. კიდევაც ამისათვის ის მოსული ხალხი, რომელიც ქართლსა და კახეთში მეტად უზრდელია, სხვა კუთხეებში, თუნდა ქუთაისის გუბერნიაში, უფრო თავაზიანი და მორიდებულია. სხვა-და-სხვა ხალხის ურთიერთობასა და შეტაკებაში ბევრი კარგია, ბევრი-კი ცუდი, ბევრი სარგებლობას იძენს, ჰკუესა და გამოცდილებას, ბევრი ჰკარგავს კიდეც ჰკუესა და ქონებასაც და გაქრობის გზაზედ დგება. სამარცხვინოა უაზრო პასსიური გაქრობა! კახელისა და ქართლელის მონობისაგან წელ-გატეხილი, პასსიური არსება ადვილად უვარდება ხელში მევახშეს, რომელიც უცხო ქვეყნიდგან არის მოსული, კარგად აქვს გაცნობილი სხვა-და-სხვა ხალხი და კარგადაც იცის, სად და როგორ უნდა იხმაროს ბადე.

ერთს მაგალითს მოვიყვან კახელის პასსიურ, ადვილად დასამორჩილებელ ხასიათისას, თუმცა ამ გვარი მაგალითი აქ მრავალია. თელავის ახლო მცხოვრები გლეხი გახდა ციებით ავად და ერთმა მევახშემ მისცა მას ბინა და ექიმის მიწვევით მზრუნველობა გაუწია, მაგრამ წინდაწინ პირობა ჩამოართვა თურმე ავადმყოფს, რომ რამდენიმე საპალნე ღვინო მოუტანოს შემდეგში. ციებით ავადმყოფს მოუვიდა მკურნალი (ექ. დ. ახვლედიანი). მევახშე გულის-მტკივნეულობით სთხოვდა ექიმს, დააშინეთ ავადმყოფი, ურჩიეთ დარჩეს ჩემსას და მოვლა კარგი ექმნება, რადგან ავადმყოფ გლეხის საცოდაობა მაწუხებსო. მასპინძლის სიბრალულით ნასიამოვნები ექიმი დაჰპირდა თხოვნის შესრულებას, მაგრამ ისე მოხდა, რომ ამ რჩევის მიცემის დროს მასპინძელი სახლში არ იყო. გლეხმა ტირილით შესჩივლა ექიმს, რომ რამდენისამე დღის გატარება მასპინძლისას მთელის წლის ღვინის მოსავლად დამიჯდებაო. ამ გვარად ბადეში გახვევა კახელისა ჩვეულებრივი მოვლენა და ქართლელი და მეტადრე კახელი იმისთანა გმირიელს ლუკმას შეადგენს, რომ, წარმოიდგინეთ, ქუთაისის გუბერნიიდგან ერთი-ორიოდე კახეთში გადასახლებულიც-კი მადიანად ეტანება

*) იხ. „ივერია" № 115.

# ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ მართებლის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი, გენერ.-ლეიტენ. ა. ა. ფრეზე თერგის ოლქიდგან უკვე დაბრუნდა.

*** წარსულ 1899 წლის 10 ნოემბერს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელთან შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ნება მისცემოდა, თელავის მაზრის სოფელ შილდაში სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველო გაემართა. ეხლა, როგორც შევიტყეთ, საზოგადოების გამგეობას ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის ბ-ნ ი. ნ. სვეჩინისაგან უკვე მოსვლია ნება-რთვა და მალეც შეუდგება სოფ. შილდაში წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამართვის საქმეს.

*** „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ 28 და 29 მაისს გამართულ ბაზრობიდგან შემოსულა 3200 მანეთზედ მეტი.

*** დღეს, 2 ივნისს, ტფილისის ქალაქის გამგეობაში ქალაქის გამგეობისა და კომისიის შეერთებული კრებაა დანიშნული, რომელმაც უნდა განიხილოს „გელიოსის“ ფირმისაგან წარდგენილი პროექტი ქალაქის ქუჩების ელექტრონით განათების შესახებ.

*** გუშინ, 1 ივნისს, ტფილისის ზემოდ, 8 ვერსის მანძილზედ, „ვარდის-ჭალაში“, მტკვრის პირას, წყალში ჰნახეს რაღაც ყუთი. როდესაც ყუთი წყლიდგან ამოიღეს და გახსნეს, აღმოჩნდა შიგ ვიღაც მოკლულის კაცის გვამი, ნაკუწ-ნაკუწად ქცეული. როგორც ტანისამოსზედ ეტყობა, მოკლული მუშა უნდა ყოფილიყო. ზედ ჩითის წითელი და შავ წინკლებიანი პერანგი ეცვა, ხოლო ფეხებზედ პაჭიჭები და წინდები. ფეხები და ხელები მოჭრილი ჰქონდა და იქვე ყუთში ეწყო. თავი არსად აღმოჩნდა. კისერზედ ეტყობა, რომ თოკი მოუჭრიათ. გვამი შეხვეული იყო ახალ კლიონკაში. გვამი პოლიციამ მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო განყოფილებაში გაჰგზავნა.

*** 3 ივნისს ქალაქის გამგეობაში მოხდება სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც ცეცხლის გაჩენის წინააღმდეგ საშუალებათა აღმოჩენა და ამ საქმის განკარგება აქვს დავალებული. სხდომაზე, სხვათა შორის, მიწვეული იქნება ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელი გ. ს. კოვალევი.

*** სამშაბათს, 30 მაისს, მომხდარს ტფილისის სახალხო კითხვათა კომისიის წევრების კრებას მოხსენდა სახალხო წარმოდგენების მმართავ სექციების ანგარიში გასულ სეზონისა. ანგარიშის დამტკიცების შემდეგ მოხდა არჩევნები სექციების წევრებისა. ქართულს სექციაში არჩეულ იქმნენ: ქ-ნი მ. ი. დემურია და კნიაჟნა ს. ციციშვილი; ბ-ნნი გ. ლასხიშვილი, გ. ანანიაშვილი, ივ. რატიშვილი, ი. ქუთათელაძე, კ. შათირიშვილი, გ. ციმაკურიძე და ი. ხოსიტაშვილი.

*** კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგეობას უცნობებია ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიისა და სხვა კერძო ლაბორატორიებისათვის, რომ სამკურნალო დეპარტამენტს დაუწესებია პრემიად 1500 მან. იმ მეცნიერულ შრომისათვის, რომელიც ზედმიწევნით გამოიკვლევს, თუ ცხოველთა და ადამიანის ორგანიზმზედ რა ფიზიკური და ტოქსიკური (მომშხამველი) გავლენა აქვს ფერადებსა და სხვა-და-სხვა ძმარს.

*** რადგანაც ქალაქის ვაჭრობა მრეწველობა დღითი-დღე იზრდება და ორი ხარჯის ამკრები ინსპექტორი ვეღარა სწვდება საქმესა, მესამე ხარჯის ამკრებ ინსპექტორის თანამდებობა იქმნა დაწესებული. ქალაქი ახლა ასეა გაყოფილი ამ სამს ინსპექტორს შორის: პირველი განაგებს პირველს ოთხს პოლიციის ნაწილს, მეორე—მე-5, 6 და 7 პოლიციის ნაწილს, ხოლო მესამე—მე-8, 9 და 10-სა.

*** კავკასიის სამხედრო-საოლქო შტაბის სამხედრო-ისტორიულს განყოფილებას დაავალეს თურმე, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის შესრულების დღისათვის საგანგებო ისტორიული მიმოხილვა შეადგინოს. ამის გამო საიუბილეო კომისიამ გადასწყვიტა აღნიშნული ისტორია საქართველოს რუსეთთან შეერთებისა ქალაქის ხარჯით რუსულ-ქართულსა და სხვა ადგილობრივს ენებზედ დაჰბეჭდოს. გარდა ამისა კომისიის განზრახვა აქვს ამ დღეს ხალხისათვის ლექციები იქმნას წაკითხული და სხ.

*** შაბათს, 3 ივნისს, მოხდება საზოგადო კრება იმ ლექტორების სახალხო კურსების დამფუძნებლებისა, რომელნიც აგერ ორი წელიწადია განვითარების მსურველთ საშუალო სასწავლებლის სხვა და სხვა საგნებიდგან ლექციებს უკითხავდნენ. კრებაზე მოილაპარაკებენ, თუ მომავალში რაღა იღონონ კურსების განსაგრძობად და როგორ უკითხონ ლექციები იმათ, ვინც უკვე ორის წლის კურსი მოისმინა. კრებას წარედგინება წარსულის წლის ანგარიში.

*** თავ. ტუსიშვილისა, ბარათაშვილისა და სხ. საქმე, რომელიც 31 მაისისთვის იყო დანიშნული ბარათაშვილის ქვრივის ტერ-სტეფანოვის ავადმყოფობისა გამო ენკენისთვემდის იქმნა გადადებული.

*** ქუთაისიდგან „ცნ.-ფურ.“-ს ატყობინებენ, რომ ახლად არჩეულს ბათუმის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების დირექტორს ალ. ნანეიშვილს ამ თანამდებობაზედ უარი განუცხადებიაო.

*** კავკასიაში მიწად-მოქმედების სამინისტროს იურისკონსულტად ნამყოფის გ. ბ. საყვარელიძის მაგიერ, რომელმაც სამსახურს თავი დაანება, დაინიშნა ბაქოს გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგის თანაშემწე ბ. ეფიმოვი.

*** თფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში წლიური გამოცდა უკვე დასრულდა. ამ წელს სწავლა დაამთავრა სულ 18 კაცმა.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობის დადგენილებით, 1 ივნისიდგან სექტემბრამდე გამგეობაში მუშაობა დაიწყება დილის 8 საათიდგან და იქმნება ნაშუადღევის 1 საათამდე. ქალაქის კასაში ფულის შეტანა და გამოტანა შეიძლება დილის 8 საათიდგან 12 საათამდე.

*** როგორც გაზ. „ტფ. ფ.“-ს ატყობინებენ, ფინანსთა სამინისტროში ლაპარაკი თურმეა აღძრული იმის შესახებ, რომ ამ მიმდინარე წლის შემოდგომიდგან ტფილისის საკომერციო სასწავლებელში რამდენიმე სახელმწიფო სტიპენდია იქმნას დაარსებული იმ მოწაფეთათვის, რომელთა მშობლებიც აღნიშნულ სამინისტროს დაწესებულებებში მსახურებენ.

*** ტფილისის იუნკერთა სასწავლებლის მოწაფენი საზაფხულოდ 3 ივნისს წავლენ სურამს.

*** საერო განათლების სამინისტროს განმარტებით, ექიმი ქალები შეიძლება სახელმწიფო სამსახურში ქალთა გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების ექიმებად იქმნენ მიღებულნი და ისარგებლონ ყველა იმ უფლებით, რომელსაც კანონი მამაკაცთ აძლევს სახელმწიფო სამსახურში, გარდა ჩინებისა და ორდენების მიღებისა.

*** 8 მაისიდგან 16-მდე ტფილისში 23 კაცი გამხდარა ავად სხვა-და-სხვა გადამდებ სენით; ამათგან: წითელათი—4, ქუნთრუშით—10 (2 გარდაცვლილა), ყელ-ჭირვებით—1 და სახადით—8 (ერთი გარდაცვლილა).

*** ნუხის მაზრაში საშინელს სეტყვას ვენახები მეტად დაუზარალებია.

*** დიდს ნიაღვრებს ძალიან წაუხდენია ყირსის რკინის გზის ლიანდაგი მე-136, 135, 163, 162, 139, 128 ვერსზედ და სხვა ადგილებშიაც. ბევრგან ზვავები ჩამოწოლილა. გზის გაწმენდას უკვე შეუდგნენ.

*** სამეგრელო. ბაგრატიონთაგან აღგებულს დიდებულს მარტვილის ტაძარს ჟამთა მდინარეობამ დაამჩნია თვისი ულმობელი ხელი: ტაძარი საჭიროებს ადგილ-ადგილ შეკეთებას. მოხსენდა რა ეს ამბავი გენერალ-ადიუტანტს თავადს გრიგოლ ლევანის ძეს დადიანს, მისმა უგანათლებულესობამ სასარგებლოდ ამა ტაძრისა, რომელშიაც განისვენებენ მისნი წინაპარნი, შესწირა შვიდასი მანეთი, რომელიც უკვე გაეგზავნა მისგან გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს ალექსანდრეს.

*** ჭიათურაში, როგორც გვატყობინებენ, მდ. ყვირილის მახლობლად უნახავთ გვამი სოფ. მანდეეთის მცხოვრების ილიკო გელაშვილისა. თავზედ ჭრილობა ეტყობოდა რევოლვერის ტყვიისაგან. იქვე უნახავთ რევოლვერი. მოკლული ასე 20 წლის კაცი იქმნება.

*** ქალაქის გამგეობის დადგენილებით, ტფილისის სატყეო კომისიის დროებით თავმჯდომარის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა გამგეობის წევრი გ. გ. ხოსროევი.

*** ქართველ მაჰმადიანთა შორის დასარიგებლად ზ. ზ. ჭიჭინაძეს დასტამბა 6000 ცალი წიგნაკი, სახელდობრ: 1, „სახალხო ლექსები“, თვით მათ-შივე გამოთქმული და შეკრებილი, და 2, „ლექსნი“, თქმულნი ქართველის მაჰმადიანის ხუსეინ ხაზაზ ქამჯარაძისაგან, რომელიც ხათუმას ოლქის სოფ. აჭყვას-თავში სცხოვრებს. ორსავე წიგნაკს თავში უკვილებიანი ქართული ანბანი აქვს მოთავსებული; ერთს წიგნაკს ბოლოში ქამჯარაძის შესახებ ცნობა აქვს დართული და მასთან პატარა ისტორიული წერილი მაჰმადიანთა შესახებ: თუ რა დროს გათათრდნენ, ვინ იყო პირველი ქართველთაგანი, რომელსაც ქართველთა გათათრება დაუწყვია და ან ეს საქართველოში რა დროდგან შემოსულა. ამ ცნობიდგანა სჩანს, რომ ქართველთა გათათრების პირველ დროთ 1650 წელ. უნდა მივიღოთ; პირველად არტაანელნი და შავშელნი გაუთათრებიათ.

ხსენებული წიგნები წელსვე იქმნება გადაცემულ-დაგზავნილი დანიშნულებისამებრ.

---

ამ ლუკმას. უთუოდ ბიოლოგიური კანონი ყოფილა, რომ ადამიანიც სარგებლობს ადამიანისავე სისუსტით. მაინც სასურველია, რომ უმიწა-წყლო ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლები მოაწვნენ ქართლ-კახეთს, რადგან დასავლეთისაკენ გზა უფრო შეკრულია და კახეთში მიწა-წყალის შეძენაც ბევრად უფრო ადვილია.

მოსულ მევახშეებს კიდეც დაუჩნევიათ თავისი კვალი; კახეთს არა ეტყობა რა თავისი, უკვე საკმარისად გადასულა უცხოთა ხელში; რაც რამე დარჩენილა, ისიც მალე გამოემშვიდობება კახელებს. ამას დააჩქარებს რკინის გზის გაყვანა, რაც ახლო მერმისში იქმნება.

თვალი გიტკბება, თელავიდგან რომ სიღნაღში მიდიხარ. თქვენ წინ გადაშლილია საუცხოვო ვენახები, მშვენიერი ველი, მაგრამ გული გიკვდება, რომ ყოველივე ეს სიმდიდრე დაუდევრობისა და მუქთა-ხორობის გამო უცხოთა ხელში გადასულა და დალატაკებული პატრონები საცოდავ მდგომარეობაში ჩაცვივნულან. მაგრამ კანონიც ეგეთია, საკუთრებას კარგი გონიერი მომხმარებელი უნდა. მებატონე ჩვენში ყოველთვის უდარდელი ყოფილა, ნამდვილი ლუარსაბ თათქარიძე, მაგრამ საწუხარო ის არის, რომ თავი არც ბედშავმა ტეტია-გლეხმა შეიწუხა, „ნუნუათი“ ჩამთვრალლმა ვერ გაიღვიძა და ვერ შეიძინა ის მამული, რომელიც სხვის ხელში მუქთად გადადის. ქუთაისის გუბერნიაში გლეხი წელზედ ფეხს იდგამს, ყოველ ღონისძიებასა ჰხმარობს, რომ თავისი საკუთრება გაიჩინოს, აძლევს დესეტინაში 600—1000 მ. და აქ დესეტინაში 20 მან. ვერ მიუციათ! ღვინის ქვეყანაში გლეხი ვენახის პატრონიც ვერ გამხდარა, ღვინოც ვერ დაუყენებია! მაგრამ თუ-კი იშოვა, გაქვთ სიცოცხლე, ლაზათიანად მიირთვას. საოცარი მოვლენაა ყველგან შემჩნეული: ღვინის მუდმივი უქონლობა უფრო ხელშემწყობია ლოთობისა. აქ შეიძლებოდა სასოფლო ბანკს რაიმე საშუალება აღმოეჩინა გლეხისათვის ჯერ იმითი, რომ 10 მანეთი 100 მ. არ დასჯდომოდა და ამასთანავე ცოტაოდენი მამულიც შეეძინა. აი სად არის მართლა საჭირო სასოფლო ბანკი, იაფი კრედიტი, რომ მადიანმა მევახშემ მოსპოს სულის ამომრთმევი მევახშეობა, რადგან ის აუარებელი 200—300%, რომელიც იმას მიაქვს, სამუდამო და მოუშორებელ ტვირთად აწვება აქაურებს. მაგრამ, საუბედუროდ, ჯერ არსაიდან არ არის ცოტაოდენი ცდა მაინც ამის მოსასპობად. სასოფლო ბანკმა მოსპო მევახშეობა ყველგან, სადაც-კი იქმნა დაარსებული. ამ მხრივაც ისევ მაჩხაანის საზოგადოება თუ აჩვენებს მაგალითს მიძინებულს კახეთს, თორემ სხვა სოფლები ამას ვერ მიხვდებიან. ან სოფლები როგორ მიხვდებიან ამ გვარ დაწესებულების საჭიროებას, როდესაც თვით ქართლ-კახეთის ქალაქებსაც ვერ გაუჩენიათ ასეთი ბანკები.

როდესაც ქვეყანა ეკონომიურად გალატაკებულია, ამასთან გონებრივი დაცემა და გულის შემზარავი გულგრილობა, უზრუნველობაც ეტყობა, მაშინ როგორ უნდა იყვეს ეს ქვეყანა ჰიგიენის მხრივ ცოტაოდნად რიგიან მდგომარეობაში მაინც! ჰიგიენის მხრივაც ცუდია კახეთის მდგომარეობა; იგი ამ მხრითაც ჩამორჩა ქუთაისის გუბერნიას. ქუთაისის დასავლეთი მხარე უფრო ჭაობიანია; ამას ძლიერ უწყობს ხელს ზღვის სიახლოვე. ამისთვის სინესტის რაოდენობა ჰაერში დიდია და ხშირად ეს რაოდენობა მეტად ცვალებადია. ჰაერის ეს ბარომეტრული ცვალებადობა ცუდ გავლენას ახდენს ადამიანის ნერვებზედაც კი. არც ჰაერის სითბო-სიცივე არის მუდმივი. მომეტებული ნესტიანობა ნიადაგისა და ჰაერისა მეტად ხელს უწყობს იმას, რომ ადამიანი გამოიყვანოს იმ ფიზიოლოგიურ თანასწორობიდგან, რომელიც ჩვეულებრივია მისთვის. ამის გამო ქუთაისის დსავლეთით ძლიერ ხშირია ფილტვების ანთება, სასუნთქავის, მეტადრე ჰლექით ავადმყოფობა, ციება ხომ დასაბამიდგანვე არსებობს. მაგრამ აქ ვერ შეამჩნევთ მთელის სოფლების განადგურებას, თუმცა ზოგიერთ სოფლებში ხალხი მაინც და მაინც არა მრავლდება. ამის მიზეზი ის არის, რომ აქ უფრო უყვართ ფაქიზი ცხოვრება და ამას-კი ჯანმრთელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. კახეთს თუ დავაკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ ბევრი სოფელი თითქმის ამოწყვეტილა და განადგურებულა. სიღნაღის მაზრის მრავალ სოფელში კარგად შეამჩნევთ, რომ ხალხი არამც თუ არა მრავლდება, კლებულობს კიდეც. ასეთი სოფლებია, მაგალითებრ, ანაგა, ვაქირი, მაშნაარი და სხვანი. ეს სოფლები ალაზნის ველზედ მდებარეობენ. ეგევე ხდება თელავის მაზრაშიაც. ჩამოვთვალოთ რამდენიმე სოფელი: ტურისის ციხე, 25 ვერსის მანძილზეა თელავიდგან, ხოლო ოთხის ვერსისა—ალაზნიდგან. აქ ყოფილა 150 კომლი, დღეს ძლივსღა ითვლება 10 კომლი; ილტოში იყო თურმე 16 კომლი, დარჩა 3 კომლი, ესენიც ფშავლებში გადასულან; არგოხში ითვლებოდა 16 კომლი, ეხლა 7-ღა დარჩა; ნაქალაქევში იყო 26, ეხლა 16 კომლია; შაქრიანში ყოფილა 500, დღეს 200-მდე დარჩენილა; ნაფარეულში ამ ოც-დაათის წლის წინად ყოფილა 500, ეხლა 300 ძლივსღა იქმნება. ამგვარს მდგომარეობაშია ბევრი სხვა სოფელიც.

რა არის ამ მოვლენის მიზეზი? ხალხი იმის მაგივრად, რომ 25 წლის განმავლობაში ორჯერ მეტი შეიქმნას რიცხვით, ერთიანად ისპობა და სწყდება. ამის მიზეზი ბევრია. ხალხის ესტეტიური უგემურობა, რის გამოც იგი ვერ ახერხებს კარგის სამოსახლო ადგილის გამორჩევას, თუმცა გარემოება არ უშლის ხანდახან არჩევანში შევიდეს; თვით ბუნება, ნესტიანი ადგილი, ჰაერი, რო-

სამებრ. სანატრელია, რომ ასევე ყურადღება მიექცეს ქართველ-კათოლიკებს, რომელნიც, ჟამთა-ვითარების მეოხებით, აქა-იქ ენის მხრივ დევნილნი არიან.

*** ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით, დღეს, 2 ივნისს, გამგეობის სადგომში კრება ექმნება ქალაქის სასწავლებელთა კომისიას, რომელსაც განსახილველად აქვს სკოლების მიმდინარე საქმეები.

*** ქუთაისი. 28 მაისს ქ-ნ პოლკოვნიკოვისამ ქუთაისის ბულვარში გამართა ადგილობრივის საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ სეირნობა-ბაზრობა, რომელმაც დიდი საზოგადოება მიიზიდა. შემოსავალმა ორი ათას მანეთს გადააჭარბა. დიდის მადლობის ღირსია პატივცემული ქ-ნი პოლკოვნიკოვისა, რომელიც აგერ მეხუთე წელიწადია უანგაროდ მოღვაწეობს ჩვენის საზოგადოების სასარგებლოდ.

*** შემოქმედის საზოგადოებიდგან (გურია) გვწერენ: შემოქმედის საზოგადოებაში „ჯვარზედ“ დაარსებულია უფასო სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველო რომელიც მოკლებულია ყოველსავე წეს-რიგს. ამ წიგნთ საცავს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ და, იმის მაგივრად, რომ კაცი შევიდეს შიგ და ჟურნალ-გაზეთები, ან წიგნები გადაათვალიეროს, ხშირად ძაღლებიც შედიან, რადგან სამკითხველოს კარები დღე-ღამე ღიაა. მართალია, ამ სამკითხველოს დროებით განაგებს მშრომელი კაცი, „ჯვარის“ მასწავლებელი ბ-ნი ს. წიქაძე, მაგრამ დრო არა აქვს, რომ თავ-თავის დროზედ მიაწოდოს მკითხველს წიგნები.

საკვირველია, ნუ-თუ არ იშოვება კაცი, რომ იკისროს სამკითხველოს გამგეობა? მაშინ ხალხიც უფრო გულმოდგინედ მიადგება სამკითხველოს კარებს და ჟურნალ-გაზეთებიც ხელ-შეუხებელი აღარ დარჩება.

*** 31 მაისს, დილის 7 საათზედ, თათრის მოედანზედ, სომეხ-გრიგორიანთა წმ. გიორგის ეკკლესიაში შევიდა ვიღაც უცნობი კაცი და ვითომდა სახარების სამთხვევლად საწიგნობელთან მივიდა. ამ დროს ეკკლესიაში იდგა აგრეთვე სხვა კაცი, რომელმაც შემოსვლისათანავე დაუწყო თურმე ამ კაცს თვალის დევნება. უცნობი მივიდა საწიგნობელთან, ვერცხლით მოჭედილს სახარებას ემთხვია, მერე ჩუმად სახარება ახალუხ ქვეშ ამოიდო და საყდრიდგან გავიდა. მეორემ ეს გარემოება მაშინვე დიაკვნს აცნობა, რომელიც დამნაშავეს გამოუდგა ყვირილით: „არიქა, ქურდი დაიჭით“! დამნაშავე პოლიციელმა ტაშკევიჩმა შეიპყრო და პოლიციის მე-5 ნაწილში წარადგინა. დამნაშავე ვინმე ზ. წ. ა—ვი გამოდგა, ყაზახის მაზრის მცხოვრები, 24 წლისა. სახარება, რომელსაც გასყიდვას თურმე უპირებდა, რადგანაც საჭმელად არა ჰქონია რა, მაშინვე გამოართვეს. დამნაშავემ განაცხადა, ქურდობისათვის რამდენჯერმე ვიყავი დასჯილიო. ამ ჟამად შეპყრობილია.

*** კვირას, 28 მაისს, პოლიციის 1 ნაწილში, გრიბოედოვის ქუჩის მოსახვევში, სახლი № 2 ვ. პ. ქ—სას მოჰპარეს ყუთი, რომელშიაც ჰქონია 10 მან. ფული და ოქროს ბროშკა, სამაჯური, ვერცხლის კოვზები და სხვა ნივთები, ღირებული სულ 40 მან. ყუთში ყოფილა აგრეთვე სახელმწიფო ბანკის ბილეთი 300 მან. და ქალაქის ლომბარდის კვიტანცია 150 მან.; ქ—სა ავლაბარში მცხოვრებ და-ძმა აბრამოვებთან ერთად ყოფილა სასეირნოდ. შინ როცა დაბრუნებულა, გული შესწუხებია. გულ-შეწუხებულისთვის მოუვლია აბრამოვს და შემდეგ და ქ—სას დაუტოვებია და თითონ-კი ნაშუადღევის 2 საათზე შინ წასულა. ქ—სა ისე ცუდად გამხდარა ავად, რომ არაფერი გაუგია იმ ღამეს, ხოლო დილაზე, 29 მაისს შეუტყვია, რომ სტოლიდგან მოეპარა ვიღაც ბოროტ-გამზრახველს ნივთები. ქურდი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

## „ქუთაისის მეაბრეშუმეობისა და ქსოვის ამხანაგობის“ წევრთა კრება.

კრება დაიწყო 29 მაისს საურთიერთო კრედიტის საზოგადოების დარბაზში. საგანი ამ კრებისა იყო განხილვა კომისიის მოხსენებისა ამხანაგობის მოსპობის და წევრთა შორის ფულის განაწილების შესახებ.

კრება დაიწყო 11 საათზედ. თავმჯდომარეობდა თ. პ. ა. თუმანიშვილი, რომელმაც წევრთ შემდეგის სიტყვით მიჰმართა: „წარსულმა კრებამ დაადგინა, რომ კომისიას ცნობაში მოეყვანა ამხანაგობის ნამდვილ წევრთა რიცხვი, მისი ქონებრივი მდგომარეობა და თან გაენაწილებინა საწევრო თანხა, რაც ზარალი გადარჩებოდა. აი ახლა მოისმინეთ კომისიის მოხსენება და თქვენის აზრის გამოთქმა ინებეთ“.

ამის შემდეგ კომისიის წევრმა ბ-ნმა ს. დ. ჯაფარიძემ წაიკითხა ვრცლად და დაწვრილებით შედგენილი მოხსენება. რადგანაც ამხანაგობას იმ დავი-დარაბის გამო, რომელიც მას თავიდგანვე დაჰყვა ზოგიერთ ვაჭბატონების წყალობით, ბევრი ზარალი მოსვლოდა, წილის პატრონებს 25 პროცენტის მეტი აღარ შეხვდათ: ასის მანეთის შემტანისათვის კომისიას 25 მანეთი დაენიშნა დასაბრუნებლად, ხოლო ათის მანეთის შემტანელს—2 მან. 50 კაპ.

კრება ერთხმად იწყნარებდა კომისიის მოხსენებას, მაგრამ ბ-ნმა დ. ჩიკვაიძემ ეჭვი განაცხადა კომისიის სამართლიანობაზედ: ვითომც კომისიას არ უნდა გამოერიცხა ამხანაგობიდგან ის წევრნი, რომელნიც ოდესმე სიაში იყვნენ აღნიშნულნიო. კომისიის წევრმა ბ-ნმა ს. ჯაფარიძემ და თ. კირ. ლორთქიფანიძემ განმარტეს, რომ თუმცა ისინი სიაში იყვნენ ჩაწერილნი, მაგრამ ფული არა ჰქონიათ კასსაში შეტანილიო, ეს ძიების დროსაც დამტკიცდა და ქ-ნი მერგასოვისა და ანჯაფარიძეც არა ჰყოფენ უარს ამ ფაქტსაო. მერე ჩიკვაიძემ მოითხოვა, რათა კრება გადადებულიყო არტ. ანჯაფარიძის დასწრებამდე. კრებამ ეს წინადადება არ შეიწყნარა. ცოტა ხნის ბაასის შემდეგ, თავმჯდომარემ წინადადება დაადგინა: ვისაც მოხსენების მიღება არ უნდა, ფეხზედ აბრძანდესო. ჩიკვაიძემ მოითხოვა, მაინცა და მაინც კენჭი ეყარათ. მთელს კრებას ადგომა-დაჯდომით უნდოდა კითხვების გადაწყვეტა, მაგრამ ჩიკვაიძის დაჟინებული მოთხოვნილება თავმჯდომარემ მიიღო და საკითხი კენჭით გათავდა.

კომისიის მოხსენება შეუცვლელად მიღებულ იქმნა 64 ხმის უმეტესობით ოთხის წინააღმდეგ.

თ. კირ. ლორთქიფანიძემ დასძინა: ის კაცები, რომელნიც ასეთს წმინდა საქმეში მხოლოდ იმისთვის შემოჰყოფენ თავს, რომ იყაყანონ და საქმე არივ-დარიონ და არა იმისთვის, რომ საზოგადო საქმისთვის იმოღვაწეონ, უნდა განდევნილ იქმნენ ჩვენის საზოგადოებისაგანო. ამ უკანასკნელმა კრებამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ასეთს კაცებს თანდათან ფეხიდგან ნიადაგი ეცლებათო.

ბოლოს თ. პ. ა. თუმანიშვილმა მადლობა გამოუცხადა კრებას, რომელიც თავიდგანვე თანამგრძნობელი იყო მისის უანგარო შრომისა და იმ ტანჯვისა, რომელიც ამხანაგობის საქმემ თ. თუმანიშვილს უნებლიეთ თავს მოახვია.

## წერილი ქუთაისიდგან.

ქუთაისის საეპარქიო გაბრიელის საქალებო სასწავლებელში წელს პირველად დაასრულეს სწავლა მოსწავლე ქალებმა. 29 მაისს სასწავლებლის ეკკლესიაში წირვა გადაიხადა ქუთაისის საკათედრო ტაძრის დეკანოზმა მ. გაბრიელ ცაგარეიშვილმა სამღვდელოების თანამწირველობით. წირვაზედ ჰგალობდა ორი გუნდი ამ სკოლის მოსწავლე ქალებისა: მარცხნივ უფროს ქალთა გუნდი, რომელთაც წელს დაასრულეს სწავლა, ხოლო მარჯვნივ—უმცროსის კლასის მოსწავლენი. ორსავე გუნდს ლოტბარობდა ანდრია ბენაშვილი. ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე გუნდი ტკბილ-შეწყობილად და სასიამოვნოდ ჰგალობდნენ და იქ დამსწრე საზოგადოებას სრულს სასოებას უღვიძებდნენ. საგალობლების უმეტესი ნაწილი ქართულად სწარმოებდა.

წირვის გათავების შემდეგ, რომელსაც სამადლობელი პარაკლისი მოჰყვა, დეკანოზმა მ. გ. ცაგარეიშვილმა, რომელსაც დიდი ღვაწლი და შრომა მიუძღვის ამ სასწავლებლის მოწყობა-მომართვაში, სწავლა-დამთავრებულ ქალებს ვრცელისა და გონივრულის დარიგებით მიჰმართა. ამ დარიგებაში ცხადად სჩანდა დეკანოზის მამობრივი ზრუნვა მომავლის დედებისა და ხალხის მწყემსთა მეუღლეების მამართ. ორატორმა დაწვრილებით აღუწერა მოსწავლე ახალგაზდობას სოფლის ჭირ-ვარამი, მისი რთული და მრავალი მოთხოვნილება და დაწვრილებითვე უჩვენა გზა და საშუალება, თუ როგორ უნდა დააკმაყოფილოს ხალხის მწყემსმა და მისმა მეუღლემ ეს მოთხოვნილებანი და საჭიროებანი.

წირვის შემდეგ მთელი ეს საზოგადოება და მოსწავლე ქალები მასწავლებლებისა და მშობლებითურთ გამართნენ სკოლის ეზოსაკენ, სადაც დიდის ნიგვზის ჩრდილში ამ სკოლის მასწავლებელმა ნიკოლსკიმ წაიკითხა მოკლე ისტორია სასწავლებლის დაარსებისა და მისის აწმყო მდგომარეობისა. შემდეგ სკოლის ინსპექტორმა ბ-ნმა დობროდეევსკიმ მიჰმართა სწავლა დამთავრებულ ქალებს გამოსათხოვარ სიტყვით, რომელიც დააბოლოვა თხოვნით, რომ ამ ქალებმა თავიანთის ნაყოფიერის შრომით და სამაგალითო ცხოვრებით დაანახვონ საზოგადოებას და დაარწმუნონ ის, რომ მათი სასწავლებელი ღირსია საზოგადოების სრულის ყურადღებისა და სიყვარულისა. ბოლოს დეკანოზმა მ. ცაგარეიშვილმა წაიკითხა მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის ფლაბიანეს დეპეშა, რომლითაც იგი ულოცავს სკოლას სწავლის პირველ დამთავრებას. ტელეგრამის კითხვა საზოგადოებამ ფეხზე დგომით მოისმინა. ბოლოს სწავლა დამთავრებულთ მოწმობანი და საჩუქრები დაურიგეს: წელს სწავლა გაუთავებია ამ სასწავლებელში ოცს მოსწავლე ქალს. აი სახელი და გვარი მათი: ეკატერინა ჟუღელი, ოლღა ჟუღელი, ნინო ჟუღელი, ნინო ჯაფარიძე, ოლღა იოსელიანი, ნადეჟდა კალანდარიშვილი, ალექსანდრა კანდელაკი, ნადეჟდა კანდელაკი, სოფიო კანდელაკი, მარიამ კაპანაძე, ანასტასია მაჩიტაძე, ევგენია ნასარიძე, მინადორა ორჯონიკიძე, მარიამ ხუნდაძე, ეკატერინე ფხაკაძე, ნადეჟდა წერეთელი, ეკატერინე წერეთელი, ანნა ჩირგაძე, აგრაფინა შაჭანიძე, ელისაბედ სიამაშვილი.

## საგანგებო განკარგულება ქიათურაში გავრცელებულ გადამდებ სენის გამო.

„ქუთაისის გუბერნიის უწყებაში“ დაბეჭდილია: „მთავრობის მიერ გამოგზავნილი პოლკოვნიკი ალიხანოვი ამით უცხადებს შავის ქვის ყველა მწარმო-

---

მელიც გაჟღენთილია ავადმყოფობის გამჩენ ნივთიერებით; უფრო ხშირად-კი თვით მცხოვრებლების უვიცობა და ეკონომიური სილატაკე,—აი მიზეზები. უვიცობა ინახავს და ხელს უწყობს ეკონომიურად გაღატაკებასა და სილატაკე-კი—უვიცობას. რამდენადაც ბუნება სასტიკია და გაუტანელი, იმდენად უფრო საჭიროა ზომიერი და ჰიგიენური ცხოვრება. ჰიგიენურ ცხოვრებისა ჯერ არა იცის რა საზოგადოდ ქართველმა და კერძოდ კახელმა. თუ აქვს რამე, ერთად შესჭამს, და ხოლო როდესაც არა აქვს-რა, მაშინ პრასა, ხახვი, საზოგადოდ ბოსტნეულობა და ხილია მისი გამომკვები საჭმელი. ამ გვარი საჭმელი-კი ასუსტებს კაცს, ასუსტებს მისს ყოველს ორგანოს ისე, რომ ადვილად იჩენს ცუდს გავლენას ადამიანზედ არა-ურიგო ბუნებაც-კი. ასეთს გარემოებაში ნიადაგის დაკვალვა, გასუფთავება ისე, რომ არსად გუბდებოდეს წყალი, არა ლპებოდეს ორგანიული ნივთიერებანი, რაც ადვილად აჩენს სხვა-და-სხვა სნეულებას, სახლების აშენება ადგილობრივი ჰავის შესაფერისი იყოს,—აი ერთად-ერთი ძირითადი და მოხერხებული ბრძოლა ბუნებასთან. მაგრამ ამას ცოდნაც უნდა. ეხლა ცნობილია კარგად, რომ ზოგიერთი სენი (სახადი, მაგალითებრ) უსუფთაო წყლის გამო ჩნდება; ცნობილია დღეს, რადგან ამას ფაქტები ამტკიცებს, რომ ციებას სხვა-და-სხვა გვარი კოღოები აჩენენ, რომელნიც კბენის დროს უცრიან ადამიანს ციებას. ამ მოვლენას საკმარისი ყურადღება მიაქცია დღეს სამკურნალო მეცნიერებამ. ციების გამჩენი პლაზმოდი იქა ჰბუდობს, სადაც ლპობა ხდება ორგანულ ნივთიერებათა; აქავე აქვს საზრდო სხვა და სხვა გვარ მწერებს და ესენი არიან გამავრცელებელნი ბევრგვარის სნეულებისა. პირველი შეხედვით გეგონებათ რომ კახელი გლეხი რიგიანად საზრდოობსო, საკმარისი აქვს ყოველივე: ხორცი, ღვინო, მაგრამ ეს შემცდარი აზრია, კახელი ხშირად და ძლიერ ხშირად ულვინოდ არის, თუმცა კი კახეთს კარგად შეუძლიან რამდენსამე გუბერნიას გაუძღვეს ღვინით, ძლივ-ძლივობით შოულობს გამხმარს, ერთის კვირის გამომცხვარს შავს პურსა და მწვანილს. ამის გამო აქ ხშირია იმ გვარი ავადმყოფობა, რომელიც ცუდის კვების შედეგია, ხშირია კბილებისა და ღრძილების სნეულებანი. ასეთ გარემოებაში ციებაცა და სხვა ავადმყოფობაც ძლიერ იკიდებს ფეხს და ბევრი სოფელი არამცთუ არამრავლდება, პირ-იქით სწყდება კიდეც. სამარცხვინო გაქრობაა ქვეყნის პირიდგან სამარხვინო სიკვდილი!

საფრანგეთი აგერ რამდენიმე ათი წელია შესამჩნევად სდგას ერთს ალაგას, სრულიად არა მრავლდება და ეს გარემოება მცირედ არ აფიქრებს საფრანგეთს; მაგრამ ამის მიზეზი არა-კულტურული ცხოვრება როდია, პირ-იქით, მეტად ინტენსიური ცხოვრება უფრო უწყობს ხელს ხალხის ასეთს გაუმრავლებლობას. ჩვენ-კი ვწყდებით იქ, სადაც უცხონი ხელ-ცარიელნი მოსულან, მიწა-წყალი გაუჩენიათ და დღეს ბატონები გამხდარან. ეს იქ არის მხოლოდ შესაძლებელი, სადაც აუარებელ მამულების პატრონები სჩქარობენ მამულების ბანკებში დაგირავებას, რომ მერე ბანკს დაუნარჩუნონ, ან კერძო კაცთ. აი კიდეც ამიტომ საჭიროა, ექიმებმა მაინც ისარგებლონ თავიანთის განსაკუთრებულის მდგომარეობით, ისინი მაინც დარჩნენ სოფელში, როდესაც სოფლებმა კარგად შეიგნეს ექიმობის დიდი მნიშვნელობა. სულ ერთია, ქალაქებში ალაგები ძლიერ ცოტაა და არც ისე ადვილია მათთვის ამ ალაგების შოვნა, გადავარდნა-კი უცხო ქვეყანაში არა ჰღირს, ეს არც ქონებისა და არც სულის სიმშვიდის მომტანია, რადგან იქ შრომას არა სჯობია-რა, სადაც შენი ესმით და და შენც სხვისი გესმის. სოფელში ვერ გასძლო ვერც ინჟინერმა, ვერც იურისტმა, ვერც აგრონომმა, რადგად იმათთვის ნიადაგი ხშირად ჯერ არ არის სოფელში, და ექიმისათვის-კი ნიადაგი უფრო და უფრო ჩნდება დღეს. ჩაუკვირდით კარგად სოფლელების ჩივილს და დარწმუნდებით, რომ მათი გულითადი ნატვრა ექიმის ყოლაა. წინ გამძღოლი უნდათ, თორემ მზად არიან ყოველი საშუალება იხმარონ, რომ საკუთარი ექიმი იყოლიონ. მაგალითი იგივე ქვემო-მაჩხაანია, რომელსაც კახეთის სხვა სოფლებიცა ჰბაძავენ. სასურველია, რომ ქუთაისის გუბერნიაშიაც გაჩნდეს ერთი ორიოდე ქსენონი; სასურველია, რომ ამ კერძო ქსენონებს ხალხის გულშემატკივარი ექიმები გაუჩნდნენ. ადვილად ვერ მოვესწრებით სახელმწიფო ქსენონებს და თუნდა მოვესწროთ, მაინც გვიან იქმნება და ვერც ვისარგებლებთ ამ ქსენონებით ისე, როგორც საზოგადოებას ესურვება, რადგან ეს ქსენონები უფრო ფორმალური ხასიათისაა. კერძო ქსენონების დაარსება კი ძლიერ ადვილია ჩვენში. ქუთაისის გუბერნიის მრავალი სოფელი მჭიდროდ არის დასახლებული. ადვილად შეუძლიან, 1500—2000 კომლმა მოიყაროს თავი, ცოტაოდენი ფული გამოიღოს და ყოველივე მოხერხდება. ამას წინად გვქონდა დიდჯიხაიშის საზოგადოებასთან ბაასი კერძო ქსენონის დაარსების გამო და საზოგადოებამ დიდი თანაგრძნობა გამოაცხადა. ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ ამ საგანს ხალხი 6 წლის წინად ასე არ უყურებდა და ეს-კი უფრო გვაიმედებს, რომ ხალხი უფრო შეგნებული ხდება. რადგან კერძო ქსენონების გამრავლება საქართველოში ჩვენი დიდი ხნის წადილია, საჭიროდ ვთვლი ორიოდე სიტყვა უძღვნა ამ საგანს.

ე. ვაშაკიძე

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლით, სახლის პატრონით, მოჯაჭრეთ, თავლე̄ბის პატრონებსა და მოიჯარადრეთ, რომლებიც-კი ჭიათურაში არიან, რომ ჭიათურაში გავრცელებულ სენის დროზედ მოსასპობლად აუცილებლივ საჭიროა შესრულებულ იქმნეს შემდეგი:

„1) ექიმთა საბჭომ და ადგილობრივმა სასანიტარო კომისიამ ამ საშიშ სენის ჭიათურაში გავრცელების უმთავრეს მიზეზად სცნო აუარებელი თავლები, რომლებითაც სავსეა მთელი სოფელი, საბაზრო მოედანი და მდ. ყვირილის ნაპირები, რომლებიც საშინლად უსუფთაოდ ინახება. უსუფთაობის მიზეზი-კი ის არის, რომ ამ ერთი ბეწო ადგილზედ მოთავსებულია 15 ათასი ცხენი, ვირი და მუშა ხალხი;—ყველა ეს ისეთს წარმოუდგენელ უსუფთაობასა და ანტისანიტარულს მდგომარეობაშია, რომ კაცის სხეულს არ მალუმს ხიტანოს ეს უსუფთაობა. ამიტომ საჭიროდ დაინახეს დაქცეულ იქმნას ყველა თავლები და გასუფთავებულ იქმნას საბაზრო მოედანი და მდ. ყვირილის ნაპირები.

2) თავლებას სხვა ადგილას გადასატანად პატრონებს მიეცემათ ამა 17 მაისიდგან ორის კვირის ვადა.

3) ამ ვადის შემდეგ თავლების დანგრევას შეუდგება პოლიცია.

4) გადატანილ უნდა იქმნას თავლები შავის ქვის მადნების სიახლოვეს, სოფლიდგან და მდინარის ნაპირებიდგან მოშორებით. ყველა თავლებში ძველშიაც და ახლად აშენებულშიაც იატაკი უნდა მოიკირწლოს ქვით ანდა დაიგოს ფიცრით. მუშათა საცხოვრებელი ოთახები ცალკე უნდა გამართოს, თავლების მახლობლად.

5) თავლის გადატანის დროს ყოველს შემთხვევაში ადგილი უნდა აჩვენოს სასანიტარო აღმასრულებელმა კომისიამ.

6) ყოველს თავლასა და საცხოვრებელ ოთახზე უნდა მიკრული იყოს ფიცარი წარწერით, რამდენს სულს დაიტევს სადგომი.

7) აღეკრძალებათ აგრეთვე ამ ვადის განვლის შემდეგ შენახვა ცხენებისა იმ თავლებში, რომლებიც დუქნებთანა და სხვა სავაჭრო სახლებთან ახლოს არის. დამნაშავენი სასტიკად იქმნებიან დასჯილნი.

8) ეს განცხადება წაკითხულ იქმნება სავაჭრო მოედანზე და ამის შემდეგ აღარავის აქვს ნება სთქვას,—არ გამიგია განკარგულებაო.

9) ამით გამოცხადებათ ჭიათურის სახლის-პატრონთა და მოჯაჭრეთ, რომ, განსაკუთრებულ პირობათა გამო, სასტიკად იქმნება დასჯილი ყველა, ვინც დაარღვევს წესებს სისუფთავისასა და ჰიგიენურ მოთხოვნილებათა შესახებ და ვინც უვარგის სანოვაგეს გაჰყიდის.

10) თუ ავად გახდა ვინმე სახლებსა ან თავლებში, პატრონებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ბოქაულსა ანდა ადგილობრივის ქსენონის ექიმს. გარდაცვალებულის დასასაფლავებლად, მშობლებმა ან ნათესავებმა მიცვალებულისა უნდა აიღონ ნება-რთვა ექიმისა ან პოლიციისაგან.

11) აგრეთვე ეცხადებათ შავის ქვის მწარმოებელთ, რათა ჯეროვანი საშუალება მიიღონ სამთო წესდების 1 პარ. მე-166 მუხ. დასაცველად, რომლის თანახმად: ა) მწარმოებელთ უნდა ჰქონდეთ გამართული სადგომები მუშათათვის, ბ) მუშები არ უნდა ატარებდნენ ღამეს მადნებში და გ) არ უნდა იგზავნებოდნენ მადნებში სამუშაოდ ავადმყოფი მუშები და დაშავებული დაღლილი საქონელი.

დასასრულ, გავახსენებთ მთავრობის განკარგულებას, გამოცხადებულს 27 ნოემბერს 1899 წელს, რომლის თანახმად მწარმოებელთა მოვალეობას შეადგენს მუშათ თავშესაფარი აუშენონ, რომელთა ბინაც სამი ვერსის სიშორეზე მადნებიდგან. ვინც ამ განკარგულების თანახმად არ მოიქცევა, იგი სამართალში იქმნება მიცემული“.

## უცხოეთი

### ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ინგლისურ გაზეთის „Daily Mail“-ის კორესპონდენტი საყურადღებო ცნობებს იუწყება ბურების ჯარის რაოდენობის შესახებ ამ ომის დროს. ეს კორესპონდენტი,—დუგლას სტორი, ომის დაწყებიდგანვე ბურების ჯართან იყო, მაშასადამე, ყოველივე კარგად ეცოდინება. მკითხველებს ეხსომებათ, უთუოდ, ინგლისის გაზეთებმა როგორ აუწყებს მთელ ქვეყანას, რომ ბურებმა დიდძალი ჯარი შეჰკრიბესო. იმათის სიტყვით, ბურებს ბრძოლის ველზედ სულ ცოტა 100,000 კაცი მაინც უნდა ჰყოლოდათ. ნამდვილად-კი ამის მესამედიც ძლივს გაუყვანიათ ბურებს. „ბრძოლის ველზედ გასულ ბურების რიცხვი, სწერს კორესპონდენტი,—იმდენად მცირე იყო, რომ ამის შესახებ ცნობების დაბეჭდვა ვერც-კი გამიბედნია: ვშიშობ, მკითხველებმა არ იფიქრონ, ტყუილებსა სწერსო. მაგრამ დავარწმუნებ ყველას, რომ ჩემ მიერ შეკრებილი ცნობები ნამდვილი და სწორეა. მე ეს ცნობები შევკრიბე როგორც ბრძოლის ველზედ, აგრეთვე გარეშე საქმეთა სამინისტროში და ბურების სამხედრო კომისიაში. როგორც დაწვრილებით გავიგე და შევიტყე, ბურებს არასოდეს არა ჰყოლიათ ბრძოლის ველზედ 29,000 კაცზედ მეტი. აქედგან მესამედი არ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ბრძოლის დროს მთელი ჯარი არასოდეს არ გადის საბრძოლველად, ზოგი ბანაკის სადარაჯოდ რჩება ხოლმე. ასე რომ მთელი ჯარი ბურებისა, რომელმაც ხუთი თვე შეაჩერა ინგლისის 100,000 კაცისაგან შემდგარი ლაშქარი და ბევრგან დაამარცხა კიდეც, სულ 15,000 კაცისაგან შესდგებოდა. აი ეს 15,000 კაცი იყვნენ ის გმირები, რომელნიც ხან აქა ჩნდებოდნენ, ხან იქ და საოცრად ამარცხებდნენ ინგლისელებს. ინგლისმა ამ 15,000 კაცის დამლევა მხოლოდ მაშინ შესძლო, როდესაც ბრძოლის ველზედ 200,000-მდე კაცი გაიყვანა“.

—ტყუილი გამოდგა ის ხმა, ვითომ ბურებმა ტყვე ინგლისელები სრულიად განათავისუფლეს ინგლისელების მიერ პრეტორიის აღების დროსაო. თავიანთი ტყვეები ბურებს მხოლოდ სხვა ადგილას გადაუყვანიათ. სხვათა შორის ეს გარემოებაც ამტკიცებს იმას, რომ ბურებს გადაწყვეტილი აქვთ ბოლომდე იბრძოლონ. თვით ინგლისელი გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ბურებს მტკიცედა აქვთ გადაწყვეტილი, მანამდე იბრძოლონ, ვიდრე სულ არ ამოსწყდებიანო.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მილანის ერთ თეატრში ამას წინად ისტორიულ პიესას არდგენდნენ. ამ პიესის ერთი მოქმედება პარლამენტის კრებას წარმოადგენს; სცენაზედ შეკრებილნი არიან დეპუტატები და მეფის გამოსვლას უცდიან, რომელმაც სეფე-სიტყვა უნდა წაიკითხოს. როდესაც მეფე გამოსულა, გადაუციათ ესსიტყვა. მეფეს გადაუშლია ქაღალდი, მაგრამ ზედ არაფერი ყოფილა დაწერილი,—თურმე დავიწყებოდათ როლის დაწერა. სიტყვა დიდი ყოფილა, არტისტს როლი არ დაუსწავლია, რადგანაც ეგონა ქაღალდში წავიკითხავო. მაგრამ მოხერხებული მეფე ამით არ შემკრთალა, ქაღალდი დაუკეცნია, იქვე გვერდზედ მდგომ მინისტრისთვის გადაუცია და ამაყად, მეფურად უ ქვამს, წაიკითხეო. ამ რიგად თავი გამოუხსნია და მეორე არტისტი ჩაუგდია გაჭირვებაში. მაგრამ ეს პირველზე უფრო მოხერხებული გამომდგარა. გადაუშლია ცარიელი ქაღალდი და შიგ დაუწყვია ცქერა, ვითომ ვკითხულობო, შემდეგ დაუკეცნია და მეფისთვის უთქვამს: „თქვენო უდიდებულესობავ! რადგანაც მე არ ვეთანხმები შინაარს ამ სეფე-სიტყვისას, ამიტომ მინისტრობას თავს ვანებებო“, და სცენიდგან გასულა.

* * *

ამას წინად პეტერბურგში ერთი ბავშვი ჩაუყვანიათ. ბავშვი ავადა ყოფილა და ერთ ცნობილ პროფესორთან მიუყვანიათ ოპერაციისათვის. ორის თვის წინად ეს ბავშვი ცეცხლში ჩავარდნილა და ხელები დასწვია. დამწვარი ადგილები საოცრად აწუხებდა თურმე. პროფესორმა გამოუცხადა, რომ მაგის ერთად-ერთი წამალი ის არის, რომ დამწვარს ადგილებს ახალი კანი უნდა გადაეკვრასო. მაშინ დედ-მამას გამოუცხადებია, თანახმა ვართ ჩვენ აგვაჭრათ ხელზედ კანის პატარა ნაჭრები და ბავშვს დააკრათო. პროფესორიც ასე მოქცეულა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 მაისი

**ტაგანროგი.** სამხედრო მინისტრმა ი. ს. პოლიაკოვის მამული და ახლად გაშენებული ტყე დაათვალიერა. 30 მაისს მინისტრი ტაგანროგიდგან წავიდა.

**ხარკოვი.** „ტროიცკაია იარმარკა“ დაიწყო, მსყიდველებიც და გამსყიდველებიც ჯერ ცოტაა. საქონელი ჯერ არ მოსულა; როგორც ფიქრობენ, მატყლის 75% წინადვეა ადგილობრივ ნაყიდი, ნათლიღების ბაზრობის დროს.

**ოლდენბურგი.** დიდი ჰერცოგი გარდაიცვალა.

**მასსერუ.** მდინ. ორანჟის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ორანჟეს ახალშენში, ბურებს გრძლად უჭირავთ სიმაგრე, მაგრამ გარს ინგლისელები ახვევიან მეტუენისა, რენდლისა და ბრაბანტის უფროსობით, რომელთაც 35,000 კაცი ჰყავთ და 50 ზარბაზანი აქვთ.

**იოკაჰამა.** ტაკუსაკენ რამდენიმე იაპონელი ხომალდი მიდის. თუ რომ მდგომარეობა არაფრით გაუმჯობესდა, მაშინ ჩინეთში საკმაოდ დიდი ჯარი იქმნება გაგზავნილი.

**გონკონგი.** ტიანძინში 600 კაცის გადასაყვანად გემი „Haitan“ იქმნა დაქირავებული.

**ტიან-ძინი.** ორშაბათს 200 ბოქსერი სცდილობდა 16 ინგლისელი მოდარაჯე კაცი როგორმე მოესხლიტათ; ეს 16 კაცი რკინის გზით გადასაყვან ჯარების ზურგის გამმაგრებლად იყო დანიშნული. ჯარები ამ უკანა კაცებზედ 2 მილით იყო დაშორებული. ინგლისელმა ზღვაოსნებმა დროზედ მიუსწრეს და ტყვია დაუშინეს. 40 ბოქსერია მოკლული და დაჭრილი. ინგლისელებიდგან არავინ არის დაშავებული. ევროპიელმა ჯარებმა დიდ მანძილზედ სდევნეს ბოქსერები და ორი სოფელიც დაიმორჩილეს. რკინის გზის ლიანდაგი ძლიერ არის დაზიანებული. საექსპედიციო რაზმი 2,000 კაცისაგან შესდგება, ამათგან 915 ინგლისელია, 350 გერმანელი, 300 რუსი, 158 ფრანგი, 104 ამერიკელი, 51 იაპონელი, 40 იტალიელი და 25 ავსტრიელი.

**ლონდონი.** კაპშტადტიდგან იუწყებიან, რომ მერრიმანისა, ზაურისა და ტეკტერის სამსახურიდგან გადადგომის ამბავი ჯერ აღრეულიაო.

**პეკინი.** ცუნგ-ლი-იამენის რამდენსამე წევრს დაავალა იმპერატრიცამ, აცნობეთ სახელმწიფოთა მისიებს, რომ ჩინეთის ჯარები უცხო სახელმწიფოთა რაზმების პეკინში შესვლას არავითარს წინააღმდეგობას არ გაუწევენო.

**კონსტანტინეპოლი.** ამბობენ, ავსტრ-უნგრეთის ელჩმა და იტალიის რწმუნებულმაც იგივე განცხადებანი წარუდგინეს პორტას საბაჟო გარდასახადის შესახებ, როგორც სხვა ელჩებმაო. რუმინიის ელჩმა გარეშე საქმეთა მინისტრს გადასცა ნოტა, რომელშიაც თხოულობს, რომ დიფერენციალური საბაჟო გარდასახადის შემოღება სამის თვით გადადებულ იქმნას და ახლავე ნორმალური პირობები იქმნას დადგენილი. ელჩმა საქმის სერიოზულს მდგომარეობას მიაქცია მინისტრის ყურადღება და შეჰნიშნა, რომ საქმემ იქამდის მიაღწია, რომ უთუოდ საჭიროა შეცდომა ახლავე იქმნას გასწორებულიო.

1 ივნისი.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება დეპეშით პრეტორიიდგან, რომ მეტუენი მდინ. რენოსტერისაკენ წავიდა, სადაც დევეტი დაამარცხა და მისი ბანაკი დაიმორჩილა. მტერი გაიფანტა. მეტუენი და კიტჩენერი კრონშტადტისაკენ მიდიან.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება, რომ გუშინდელს ბრძოლაში მეტუენმა სულ 19 კაცი დაჰკარგა; ამათგან ერთი მოკლულია, დანარჩენი დაჭრილი. დერბიშირის რაზმს 36 მოუკლეს და 104 დაუჭრეს.

როგორც ოფიციალური დეპეშა იცნობება, ლანფონთან სახელმწიფოთა შეერთებულს ჯარებს „დიდ მუშტთან“ ბრძოლა მოჰხდომიათ. „დიდი მუშტი“ გაქცეულა და 35 მოკლული დაუტოვებია.

კუმასის გუბერნატორი იუწყება, რომ იქ ამ ჟამად 700 ჯარის კაცია. სკერალსენიდგან მისაშველებლად 900 ჯარის-კაცი კიდევ სხვა იქმნა გაგზავნილი.

რობერტსი იუწყება პრეტორიიდგან: „პრეტორია და იოჰანნესბურგი დამშვიდებულია. პრეტორიის ჩაბარების შემდეგ ბოტამ აღმოსავლეთისაკენ დაიწია. ბოტას წინააღმდეგ ფრენჩი, გამილტონი, პოლ-კერიუ, კიტჩინერი და მეტუენი გავგზავნე თავიანთის ჯარებით. მეტუენი და კიტჩენერი შეჰხვდნენ ერთმანერთს ფედერფორტროდის სადგურზედ და მეორე დღეს მდინ. რენოსტერს მიუახლოვდნენ, სადაც მეტუენმა სრულიად დაამარცხა დევეტი. 30 მაისს მეტუენმა და კიტჩენერმა განაგრძეს გზა კრონშტადტისაკენ“. 29 მაისს მოკლულთა შორის გრაფი ერლია. ამ ბრძოლაში მაგდენად დიდი ზარალი არ მოგვსვლია. კრონშტადტი მშვიდობიანად არის.

**ნიუ-იორკი.** ჩი ფუში მყოფი ამერიკელი ელჩი იუწყება, რომ „დიდის მუშტის“ მომხრეებმა ჩი-ფუში უწესოებანი მოახდინესო.

**ტფილისი.** ბეგმა, ინახულარა ადმირალი ბირილიოვი, სთქვა: ბედნიერი ვარ, რომ მივიღე დიდის სახელმწიფოს წარმომადგენელი, მეტადრე იმის გამო, რომ ვიცი რა კავშირი აერთებს რუსეთსა და საფრანგეთსაო. ბეგმა მირილიოვს ნიშალ-იფტიკარის პირველ ხარისხის ორდენის ნიშნები გარდასცა.

## გამოსადეგი ცნობა

როგორ უნდა გაიგოთ ფქვილი ღვარძლიანია თუ არა. იმის გასაგებად, ფქვილში მხვნე რამ ურევია თუ არა, მაგალითად ღვარძლი, სულ უბრალო საშუალებაა უებარი. აიღეთ ცოტა ფქვილი საცდელად, ჩაჰყარეთ მწვავე კალ (Ѣдкій кали) შერეულს სითხეში, გათქვიფეთ და კარგად პირდაცმულს ჭურჭელში რამდენსამე საათს შეინახეთ. თუ რომ სითხე ფერს იცვლის, დაყვარდს ფერს ჰიიღებს და სელიოდგის სუნი დაეცემა, მაშინ ეჭვს გარეშეა, რომ ფქვილს ღვარძლი ურევია. ღვარძლის აღმოჩენა შეიძლება კიდევ სხვა საშუალებითაც, მაგალითად ეფირსა და გოგირდის სიმჟავეში; იმ შემთხვევაში, თუ რომ ფქვილს ღვარძლი ურევია, ფქვილ-შერეული სითხე ეფირსა და გოგირდის სიმჟავისა რამდენისამე საათის განმავლობაში წითლად შეიღებება.

რაც შეეხება კიდევ სხვა მავნე-მათრობელა მცენარეთ, ამათი აღმოჩენაც ადვილია. უნდა აიღოთ ფქვილი, ჩაჰყაროთ 35 გრადუსიანს არაყში და ასე დასდგათ რამდენსამე ხანს. თუ რომ ფქვილს მათრობელა და მავნე რამ ურევია, სითხეს მწვანე ფერი დაჰკრავს.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ იმათ რომელთაც კეთილ-ინებეს და ჩემდამო რწმუნებულ ჭანჭათის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიას შემოსწირეს სამღვდელო და სადიაკნო შესამოსელის შესაძენად თავიანთი წვლილი, სახელდობრ შემოსწირეს: გიორგი წულაძემ, მიხელ წულაძემ და ერასტო წულაძემ სამ-სამი მანეთი; მაკრინე გოგუაძისამ, იუსტინე ვადაჭკორიამ, სოლომონ ვადაჭკორიამ, ანტონ მგელაძემ და დიომიდე წულაძემ ორ-ორი მან.; მღ. ანტონ თოთიბაძემ, მაქსიმე შარაძემ, ოქროპირ გოგუაძემ, დიმიტრი ჯაშმა, ილიკო თოხაძემ, პლატონ ხუციშვილმა, სპირდონ ლოსაბერიძემ, ესტატე კერესელიძემ, კაპიტონ წიტაიშვილმა, დიმიტრი წულაძემ, იოსებ თოხაძემ, აკაკი გეგეჭკორმა, ლუკა წულაძემ, ალისტრო წულაძემ, შალიკო ცინცაძემ, სოფიო ჩხარტიშვილიამ, სეილან გოგუაძემ, უშანგი ჯაშმა და იოსებ ლეჟავამ თითო მანეთი; ანნა მგელაძისამ, სერგო ქორიძემ, ნინო ცხომელიძისამ, ალექსი შარაძემ, ალფესი ვადაჭკორიამ და თომა მშკიდობაძემ—ათ-ათი შაური. ბ-ნმა მიქელაძემ შესამოსლის ფასზედ დაგვიკლო ხუთი მანეთი, ხოლო ესტატე კერესელიძემ იმავე ეკკლესიას შემოსწირა ხატი „საქართველოს დიდება“, მშვენიერს ჩარჩოში მოთავსებული, ღირებული რვა მან.

მღ. ლავრენტი წულაძე

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1-го Iюня 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე